

2012



ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ი 6 ს ტ რ უ ქ ც ი ა

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცელის გაკეთება დაუზვებელია!

ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ჭულაპა - 80.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტორება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უკრეფები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უკრეფი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უკრეფი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შესასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჰერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დაპალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ არ დაგალებისათვის გამოყოფილ ადგილს არ იქნება გადატანილი!

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ტექსტი დაშვებულია 18 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეც-დობა და სტილისტური ხარვეზი. გაასწორეთ ეს შეცდომები და ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მასში **არც ერთი სხვა ცვლილება** არ შეიტანოთ.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა. **გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ** თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

ფელიქს ვარლამიშვილი (ვარლა) დაიბადა 1903 წელს ქუთაისში. თავდაპირველათ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, სამხატვრო აკადემიის გახსნის თანავე კი ამ სახსრავლებელში გადავიდა. მასთან ერთად სწავლობდენ ცნობილი მხატვრები გიგო გაბაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი და იაკობ ნიკოლაძე. აკადემიის დამთავრების შემდეგ ფელიქს ვარლამიშვილმა დააარსა სამხატვრო სკოლა, რასაც თავად ხელმძღვანელობდა. შემდეგ ცოდნა რომ უფრო გაედრმავებია, მხატვარმა უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა. 1928 წელს იგი გაემგზავრა სტამბოლში იქიდან კი – პარიზში სადაც რამდენიმე წელის შემდეგ დანიელ მხატვარ ქალზე დაქორწინდა. ცოლქმარი ცოტა ხნით არგენტინში გადავიდა საცხოვრებლად შემდეგ კი ისევ პარიზში დაბრუნდა.

1952 წლიდან ვარლამიშვილის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო მრავალ პრესტიულ საგა-მოფენო დარბაზებში. როგორც თავად ხელოვანი აღნიშნავდა მის შემოქმედების ძალიან უმ-თავრესი წყარო საქართველო და ქართული თემატიკა იყო. მხატვარმა ერთ-ერთ ნამუშევარს ასეთი წარწერა წააწერა: „ყველა სურათს საქართველოს სიყვარულით ვხატავდი“.

1986 წელს ვარლამიშვილი გარდაიცვალა. მისი ნეშტი, ანდერძის თანახმად, დასწვეს და ფერფლი ლევილის სასაფლაოზე მიმოაბნიერს. ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევრების საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის გადაცემა მოხდა მისი მეუღლის ინიციატივით.

შავი სამუშაოსათვის

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

საზოგადოების ნაწილი ზოოპარკების წინააღმდეგია, რადგან მიიჩნევს, რომ ბუნებრივი გარემოსაგან ცხოველების მოწყვეტა არაჟუმანურია.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადგბითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ხორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წენადაღებით, ნაშრომი არ გასწორდება.

შავი სამუშაოსათვის

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (15 + 25 ქულა)

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში გვითხულობთ:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:

1. მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.
შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.
2. კვლა აქაცა ემების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.
ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
3. მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.
მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
4. რა ვედარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა.
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.
5. მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლდა ნუ პგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის, „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა ჯორი.
მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
6. არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა.
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლევნ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.
7. მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამდერელად,
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
8. ერთი უწნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისოვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისოვის ენამუსიკობდეს.
9. ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მისს დიდად სახელიად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.“

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- (1) 3. რომელი სტრიქონი გამოხატავს პირველი სტროფის მთავარ სათქმელს?
- ა) I სტრიქონი.
ბ) II სტრიქონი.

- გ) III სტრიქონი.
 დ) IV სტრიქონი.
- (1) 4. **რა აზრი გამოიხატება სიტყვებით:** „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“?
 ა) პოეზია იმთავითვე მიჯნურთა გრძნობების გამოსახატავად შეიქმნა.
 ბ) პოეზია იმთავითვე სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ საშუალებად იქცა.
 გ) პოეზიის დანიშნულება არის ადამიანის გართობა და გამხევება.
 დ) პოეზიის დანიშნულება არის აღიარებული ჭეშმარიტების ქადაგება.
- (1) 5. **რა იგულისხმება სიტყვებში:** „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“?
 ა) ჭეშმარიტი პოეზია მნიშვნელოვან აზრს სხარგად გამოხატავს.
 ბ) ჭეშმარიტი პოეზია მნიშვნელოვანი ამბების შესახებ მოგვითხრობს.
 გ) ჭეშმარიტი პოეზია მცირე ნაწარმოებების შექმნას გულისხმობს.
 დ) ჭეშმარიტი პოეზია მხოლოდ ამაღლებულ გრძნობებს ასახავს.
- (1) 6. **ტროპული მეტყველების რომელი სახეა გამოყენებული სტრიქონში:** „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა...“?
 ა) გაპიროვნება.
 ბ) ეპითეტი.
 გ) მეტაფორა.
 დ) შედარება.
- (1) 7. **მეოთხე სტროფის მიხედვით, კონკრეტულად რაში მუდავნდება პოეტის ოსტატობა?**
 ა) არ აღარიბებს პოეტურ ენას.
 ბ) არ მოგვითხრობს უინგერებო ამბებს.
 გ) ნაწარმოებს მეფეს უძღვნის.
 დ) ნაწარმოებს მიჯნურს უძღვნის.
- (1) 8. **რას გვეუბნება ავტორი სტრიქონით:** „მოშაირე არა პქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი, ორი“?
 ა) ნამდვილი ხელოვანი არ არის ის, ვინც დიდ პოეტებს უტოლებს თავს.
 ბ) ნამდვილი ხელოვანი არ არის ის, ვინც მთელ შემოქმედებას მიჯნურს მიუძღვნის.
 გ) ნამდვილი ხელოვანი არ არის ის, ვინც მხოლოდ მეფის სადიდებლად თხზავს.
 დ) ნამდვილი ხელოვანი არ არის ის, ვინც მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებს შექმნის.
- (1) 9. **მეხუთე სტროფის მიხედვით, რა თვისებით გამოირჩევიან უნიჭო პოეტები?**
 ა) ამპარტაგნობით.
 ბ) გაბედულებით.
 გ) საზრიანობით.
 დ) შურიანობით.
- (1) 10. **როგორ ახასიათებს რუსთველი „მეორე ლექსის“ ავტორებს?**
 ა) მათ არ შეუძლიათ მეგობრების გართობა ნადიმის დროს.
 ბ) მათ არ შეუძლიათ მონადირეთა მსგავსად თავის გამოჩენა.
 გ) მათ არ შეუძლიათ პოეზიის მეშვეობით სატრფოს მოხიბებლად.
 დ) მათ არ შეუძლიათ სულისშემდგრელი თხზულებების შექმნა.
- (1) 11. **რისთვის არის კარგი, ავტორის თქმით, „მესამე ლექსი“?**
 ა) დროის გასატარებლად.
 ბ) სამყაროს შესაცნობად.
 გ) სატრფოს საამებლად.
 დ) ღმერთის შესაცნობად.
- (1) 12. **რა დადებითი თვისება შეიძლება პქონდეს „მესამე ლექსს“?**
 ა) ვრცლად გამოხატავდეს სათქმელს.
 ბ) მკაფიოდ გამოხატავდეს სათქმელს.
 გ) მოკლედ გამოხატავდეს სათქმელს.
 დ) შოამბეჭდავად გამოხატავდეს სათქმელს.

- (1) 13. რა იგულისხმება სტრიქონში: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“?

 - ა) ნამდვილი ხელოვანი ის არის, ვინც გასართობ ნაწარმოებს შექმნის.
 - ბ) ნამდვილი ხელოვანი ის არის, ვინც ვრცელ ნაწარმოებს შექმნის.
 - გ) ნამდვილი ხელოვანი ის არის, ვინც ლაკონიურ ნაწარმოებს შექმნის.
 - დ) ნამდვილი ხელოვანი ის არის, ვინც ტრაგიკულ ნაწარმოებს შექმნის.

(1) 14. რას ნიშნავს სიტყვები: „ხამს, მელექს ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს“?

 - ა) ხელოვანმა თავისი ნიჭი სამშობლოსა და ხალხს უნდა მოახმაროს.
 - ბ) ხელოვანმა თავისი ნიჭი ტყუილუბრალოდ არ უნდა გაფლანგოს.
 - გ) ხელოვანმა მოელი შემოქმედება თავის სატრფოს უნდა მიუძღვნას.
 - დ) ხელოვანმა მოელი შემოქმედება საყვარელ მონარქს უნდა მიუძღვნას.

(1) 15. რა არის, ავტორის თქმით, პოეტის მისია?

 - ა) მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის უნდა იბრძოდეს.
 - ბ) მხოლოდ საკუთარ მეფეს უნდა ემსახურებოდეს.
 - გ) მხოლოდ საკუთარ სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს.
 - დ) მხოლოდ სატრფოსათვის უნდა ქმნიდეს ნაწარმოებებს.

(1) 16. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ეს პოემა არ არის რუსთველის ერთადერთი თხზულება?

 - ა) „ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია“.
 - ბ) „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია“.
 - გ) „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქამს, მიქია“.
 - დ) „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“.

(1) 17. რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ავტორს ეამაყება საკუთარი შემოქმედება?

 - ა) „ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია“.
 - ბ) „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია“.
 - გ) „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქამს, მიქია“.
 - დ) „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“.

წერითი დაგალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მოლიანობაში არააღეკვატურადა გაგებული, ანდა ენობრივად იძღვნად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერილ დაგალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხეულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკეული გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხეულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დაგალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება. თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადაღებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველობრივ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტესტში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, შავად შესრულებული ნამუშევარი არ გახსროდება.

କାଶ୍ଚକ୍ରେବୀର ପ୍ରମାଣିତ ହୁଏ ଓ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଦେଖିଲାମି ।

წერითი დაგალების მაქსიმალური ქველაა 25.

Digitized by srujanika@gmail.com

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ახასიათებს ავტორი პოეზიას ამ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა კავშირს ხედავს ავტორი ხელოვნებასა და სიყვარულს შორის.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

თქვენი თვალსაზრისი დასაბუთება!

დავალება № 2

რომანში „სამოსელი პირველი“ გურამ დოჩანაშვილი მოგვითხრობს, რომ იარაღის საყიდლად კამორაში ჩასული ორი კანუდოსელი მწყემსის შეპყრობის შემდეგ კამორელებმა ერთ-ერთი მათგანი, ზე მორეირა გაათვისუფლეს:

მთვარიან დამით თავაწყვეტილ ცხენს დაუზოგავად მიაჭენებდა ზე მორეირა, და სუსტად აციაგებულ მდუმარებაში მძლავრი, სიჩუმის ღონივრად დამტლეთი თქარათქური შეპქონდა... გზად ცხენი ორჯერ გამოიცვალა, მაინცდამინც არც შეფერხებულა, ისე – ბაზრობათა ქალაქთან ამხედრებულ კამორელთა ჯგუფი იღგა და, უკვე დღე იყო, შორიდანვე შეირჩია ცხენთაგან უპეტესი და ყველაზე მეტად დასვენებული, მეხივით მიეჭრა, ეგრევე აიწია და დაახტა, იმის განვითრებულ და შიშნაჭამ პატრონს კი კარგა მაგარი ბრაგგანი გაადენინა; მერე იყო და, კაატინგის* მისადგომებთან, სილაში, მისკენ ზურგით მჯდარ, მცენარეში მოედი გულისყრით მომზირალ გუშაგს უხმაუროდ მიეპარა, უკანიდან თავში ჩაფარა და წამსვე დაიკავა დიდხანს ჯდომისაგან ჩატუნებული მისი უნაგირი, გადაიწია კაატინგა და, შორს ჩამოიტოვა წვალება-ტანჯვით ძლიერ წამომდგარი, ადგილზე დაბარბაცებული გუშაგი.

კანუდოსში გვიანი დამით იყო, და მოერიდა ასე, ცხენდაცხენ ჭენებითა და ხმაურით შესვლა მიძინებულ თიხის ქალაქში, ჩამოქვეითდა, მიატოვა დაღლილი ცხენი და კანუდოსში ფეხით შევიდა. მდინარის წყნარად ნაქსოვი ხმა შემოესმა, მონაცრისფროდ მოვლემარე თეთრ კანუდოსში ფეხაკრეფით მიდიოდა ზე...

თავისი სუფთა, მომდობინე სახლისკენ ცალი თვალითაც კი ვერ ბედავდა გახედვას, მენდეს მასიელის ქოხისკენ მიაბიჯებდა. კარი არ ებათ სახლებს კანუდოსში. ზღურბლთან შედგა და მორიდებით ჩაახველა. „შენ ხარ, ზე?“ – მშვიდად გაისმა. „მე ვარ... კი“, „შემოდი“. ძალიან ბნელოდა ოთახში, ჭრაქი აანთო მენდეს მასიელმა, და ყოველივე სუსტად ალიცლიცდა, ფარფატი ჩრდილებით ილოკებოდა ბუნდოვანი ოთახი. ისევ ზღურბლისაკენ შეაბრუნა თავი მენდეს მასიელმა, ხელით მოიჩრდილა, „რომელი ხარ მანდ...“ „მე გახლავართ – დონ დიეგო“. „რამ შეგაწუხა“. „აჲ, ეს ზე ყოფილა? ადარ ველოდი. თვალი მოვერი ამ შუალამით აქ რომ ვიდაცა შემოიპარა და... რა ვიცოდი, თუ დაუსხლტებოდა, – და შემპარავად, ფრთხილად ითხოვა: – ხელს ძალიან თუ არ შევიშლით, მაინტერესებს მაგათი ამბავი...“ „კარგი, შემოდი, – ნება დართო მენდეს მასიელმა და ზეს მიუბრუნდა: – რა გადაგხდათ თავს, სადაა მანუელო, წვრილად მიამბე სუსტელაფერი...“

მანუელო კი, ზე თვალს რომ მიეფარა, გაარხეინდა... პოლკოვნიკმა კი სახელოზე დაქაჩა მოუთმენელი ხელით: „წამო, წავიდეთ“. „სად წავიდეთ“. „როგორ თუ სად, კაატინგასთან...“ „ფეხით? – იყითხა მანუელომ, – ძაან შორია“. „ფეხით კი არა... აი, აქ დგანან ცხენები, აი“. „ცხენი რად გვინდა...“ „აბა რითო წავიდეთ...“ „სად უნდა წავიდეთ, რო...“ „როგორ თუ სად, კაატინგასთან...“ „კაატინგასთან რადა გვინდა...“ „აბა სადაა საიდუმლო ხვრელი...“ „რა ხვრელი...“ – თქვა მანუელომ.

„მერე ერთი რამ გამიკვირდა, – განაგრძობდა ზე, – ის კაპრალი საუბარში რომ ჩაერია, არ ვიცი, ისეთი რა უნდა ეთქვა, მაგრამ ძალიან გაჭიმული და გაფითრებული იღგა მის წინაშე პოლკოვნიკი. მანუელოზეც ცოტათო გამინელდა ბრაზი, რადგან კაპრალი აშკარად განაწყენებული გავიდა. მერე პოლკოვნიკმა ყურებიდან ცვილი ამომიდო, თოკი შემომხსნა, და სანამ კარს მიიჯახუნებდა, მანუელომ თვალი ჩამიკრა, რაგომდაც გახარებული ჩანდა. მე მაინც უნდოდ შევცემეროდი – პირობა გვქონდა, კრინტი არ დაგვეძრა. ის კი მთლად ენად გადაიქცა კამორელებთან. ალაპარაკებული, იქამდე თუ სულ თვალს მარიდებდა, ორნი რომ დავრჩიოთ, ისეთნაირად შემომაცემერდა, დავიძენი და ახლა მე ავარიდე თვალი, ვერ ვენდობოდი მაინც, მაგრამ ფეხი რომ უნდა ამომერტყა ყბაში, გადავიფიქრე, ისეთნაირად იღიმებოდა, კანუდოსისთვის სიკე-

*კაატინგა – შეამიანი ბუჩქების რიგი, რომელიც ბოროტი კამორელებისაგან იცავს აჯანყებულთა ქალაქ კანუდოსს.

თუ თუ გინდა, მითხრა მანუელომ და ის გაკეცილი ბარათი მომცა, ძალიან რომ ათვალიყრებდნენ პოლკოვნიკი და კაპრალი – ეს ბარათი კონსელეიროს გადაეცი და პასუხესაც ის გამოგატანს. ისე გულდიად შემომურებდა, დავუკერე... თქვენი სახელიც ახსენა და... დიდ თავ-ლაში ამომარჩევინა პოლკოვნიკმა ცხენი. დავაჯექ და წამოვედი, არ ვიცი, სწორად მოვიქცი თუ არა... ბარათში რაიმე ხრიკი არ იყოს... „სადაა, მაჩვენე“, – მიუახლოვდა მენდეს მასიელი. ზემ ფრთხილად ჩაიყო უბეში ხელი, ოთხად გაკეცილი ბარათი გამოაძვრინა. კონსელეირო ჭრაქთან მივიდა, სუსტი შუქით გამუდავნებულ ბარათს დააცქერდა, გადაატრიალა, გადმოატრიალა, ათვალიყრა ერთხანს, და დონ დიეგო მიიხმო მერე: „მოდი, შენც ნახე...“ დონ დიეგომ კი ბარათს ერთი დახედა და უცნაურად შეაცქერდა ზეს, თვალში სისოვლე მოეძალა, რაღაცნაირად, თანაუგრძნობდა. ამაყად გახევებულიყო ზღურბლოთან მისული კონსელეირო, დამეს გასცქეროდა. „აი ის კაპრალი, ლაპარაკისას, ხელებს იფშვნებდა?“ – იკითხა დონ დიეგომ. „კი“. „უბეში ხომ არ იყოფდა წამდაუწუმ ხელი...“ „კი. და აურულებდა“. ერთმანეთს წამით გაუსწორეს თვალი დონ დიეგომ და შემობრუნებულმა კონსელეირომ, „საიდუმლო ხვრელი ოჯერ ახსენესო, არა?“ „ორჯერ, კი“. „ასეც ვიფიქრე, კონსელეირო, – ხმადაბლა უთხრა დონ დიეგომ, – არარსებული ხვრელის ჩვენებას დაპირდებოდა, თანაც, როგორი საქმეა ორი ისეთი ავაზაკის საწამებელში მოტყუება, იქით ისინი წაუბია, აქეთ – ეს. მეც კი გამიჭირდებოდა მსგავსი არტისტიზმი... – და ზეს შეაცქერდა, – შენ არ გინახავს ბარათი, არა?“ „არა, – კუშტად თქაზემ, – საწამებელში არ მაჩვენეს და წამოსვლის წინ კი მანუელოს სიტყვა მივეცი, რომ არ ვნახავდი. ძალიან დამიჩემა... – და ისევ ბოლმა შემოაწვა, – იმათ კი, ორივეს, ისეთი დიდი სიამოვნებით აჩვენა!“ ისევ გაუსწორეს პატარა ხნით თვალი დონ დიეგომ და კონსელეირომ, და ზე გაცხარდა: „ბოლოს და ბოლოს, რა ბარათია, ხომ უნდა ვიცოდე, დროებით რისთვის გამომიშვეს!“ „დროებით არ ხარ გამოშვებული, დაწყნარდი, კარგი... – ხმა დაურბილდა დონ დიეგოს, – მალე გაიგებ ყველაფერს, მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა გეითხო – როგორ დაშორდი...“ „გის, იმას?“ – ვერ ახსენებდა მძაკაცის სახელს. „მანუელოს, კი“. „ცივად, ცოტათი... – განზე გაიხდა ზემ – სანამ იმ გამორჩეულ ცხენზე შევჯდებოდი, მომიახლოვდა და გამიღიმა... გადაიხარა და როგორდაც შეძლო, მხარზე დამადო ხელი, მკითხა: გახსოვს, ხანდახან დამდამობით ერთად რომ ვსვამდით?“ „და, გიღიმოდა?“ „კი...“ „შენ რალა ჰქენი, ზე... გაუღიმე?“ „არა. მე მხარი ავუკარი, და ხელი ავალებინე, რადგან ბოლომდე დარწმუნებული ახლაც არა ვარ მასში“. „მერე, ეწყინა?“ „წყენით არ ვიცი, ისე კი, ნაღვლიანად და თან სიხარულით შემომცქეროდა... – და უცებ რისხვა შემოაწვა ეჭვებაშლილ ზეს, – ადარ მიჩვენებო იმ ოხერ ბარათს?!“

კონსელეირო ჭრაქიანად მიუახლოვდა, მომეტებულად აცახცახდნენ ქოხში ჩრდილები, სევდანარევი სიამაყით შესცქეროდა ზეს, და წყნარად უთხრა: „ბარათს გაჩვენებ, ოდონდ გამაგრდი, ზე...“ ხმისამოუდებლად გაიშვირა ხელი შემკრთალმა მწყემსმა, სწრაფად გაშალა დაკეცილი ბარათი, ჭრაქს მიუახლოვდა და გაშრა – საკვირველებავ, ქათქათი ფურცელს ერთი წერტილიც კი არსად აჩნდა. მთლად სუფთა იყო! „რაა... ეს რაა!“ წამოიძახა გაფიტრებულმა პირველმა მწყემსმა, და სუყველაფერს ერთბაშად მიხვდა, დონ დიეგომ კი მაინც აუხსნა: „გადაურჩინიხარ, ზე“.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 3. რა არის პირველი აბზაცის მთავარი სათქმელი?

- ა) ზე მორეირა ისე ჩქარობდა კანუდოსში დაბრუნებას, რომ არაფერს ერიდებოდა.
- ბ) ზე მორეირა ისეთი დაუნდობელი კაცი იყო, არ დაეძებდა სხვების გასაჭირს.
- გ) ზე მორეირა ისე ეჭვერდა სხვებს, უნებურად შეიძლებოდა უდანაშაულო შემოკვდომოდა.
- დ) ზე მორეირა ისეთი ვაჟაცი იყო, რომ მისი რისხვის ყოველ კამორელს ეშინოდა.

(1) 4. რატომ არ შევიდა ზე კანუდოსში „ცხენდაცხენ ჭენებითა და ხმაურით“?

- ა) მას კანუდოსში აღარავინ ელოდა.
- ბ) ამ დროს უკვე ყველას ეძინა.
- გ) საკუთარი საქციიელის რცხვენოდა.
- დ) კანუდოსში ზე მოდალატე მიაჩნდათ.

- (1) 5. **რატომ გაემართა ზე არა საკუთარი, არამედ კონსელეირო მენდეს მასიელის ქოხისაკენ?**
- ა) მას სასწრაფო საქმე პქონდა მენდეს მასიელთან.
 - ბ) სურდა მენდესისაგან შინ დაბრუნების ნებართვა აეღო.
 - გ) სურდა ყველას გაეგო მისი დაბრუნების შესახებ.
 - დ) მას საკუთარი ცოლ-შვილის გაღვიძება არ უნდოდა.
- (1) 6. **რას გულისხმობს დონ დიეზო სიტყვებში: „რა ვიცოდი, თუ დაუსხლტებოდა“?**
- ა) მას კანუდოსის გადარჩენის იმედი აღარ პქონდა.
 - ბ) მას მენდეს მასიელის გადარჩენის იმედი აღარ პქონდა.
 - გ) მას მანუელოს გადარჩენის იმედი აღარ პქონდა.
 - დ) მას ზე მორეირას გადარჩენის იმედი აღარ პქონდა.
- (1) 7. **რაზე მეტყველებს პოლკოვნიკისა და მანუელოს საუბარი?**
- ა) მანუელო აბუჩად იგდებს პოლკოვნიკს.
 - ბ) მანუელოს ეშინია პოლკოვნიკის რისხვისა.
 - გ) მანუელოს უხარია პოლკოვნიკის მოტყუება.
 - დ) მანუელოს უხარია, რომ გაათავისუფლებენ.
- (1) 8. **რაზე მიგვანიშნებს ავტორი სიტყვებით: „მანუელო კი, ზე თვალს რომ მიეფარა, გაარხეონდა“?**
- ა) მანუელომ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია.
 - ბ) მანუელომ თავი დააღწია განსაცდელს.
 - გ) მანუელომ გადაარჩინა კანუდოსელები.
 - დ) მანუელომ მიაღწია თავის მიზანს.
- (1) 9. **რატომ იყო ზე მორეირა გაბრაზებული მანუელოზე?**
- ა) შეთანხმებულნი იყვნენ, კრინტი არ დაემრათ, მანუელომ კი პირობა დაარღვია.
 - ბ) შეთანხმებულნი იყვნენ, თუ კამორელები დაიჭერდნენ, თავი უნდა მოეკლათ.
 - გ) შეთანხმებულნი იყვნენ, ბოლომდე ებრძოლათ, მანუელომ კი პირობა დაარღვია.
 - დ) შეთანხმებულნი იყვნენ, დატყვევების შემთხვევაში ერთად გაქცეულიყვნენ.
- (1) 10. **როგორ ფიქრობდა ზე მანუელოს დასჯას?**
- ა) მოელ კანუდოსში შეარცხენდა.
 - ბ) მის მეგობრობაზე უარს იტყოდა.
 - გ) სილას გააწინავდა სახეში.
 - დ) ფეხს ამოარტყამდა ყბაში.
- (1) 11. **რატომ აღარ დასაჯა ზემ მანუელო?**
- ა) მანუელო ისეთი გულწრფელი ჩანდა, ზემ იგი ვერ გაიმეტა.
 - ბ) მანუელოს ხევწნა-მუდარამ გაჭრა და ზემ იგი ვედარ გაიმეტა.
 - გ) ზემ შურისძიების დირსადაც კი არ ჩათვალა მანუელო.
 - დ) ზეს მანუელო შეეცოდა, რადგან მას უქმედი სიკვდილი ელოდა.
- (1) 12. **ზე მორეირას აზრით, რატომ გამოუშვეს იგი კანუდოსში?**
- ა) მენდეს მასიელისათვის ზავის პირობები რომ შეეთავაზებინა.
 - ბ) მენდეს მასიელისათვის მანუელოს ბარათი რომ მიეტანა.
 - გ) მენდეს მასიელისათვის ომის გამოცხადება რომ ეცნობებინა.
 - დ) მენდეს მასიელისათვის პოლკოვნიკის დანაბარები რომ გადაეცა.
- (1) 13. **ბარათს რომ დახედეს, მენდეს მასიელი და დონ დიეგო მაშინვე მიხვდნენ, რომ:**
- ა) საკუთარი თავის გაწირვით მანუელომ კამორელების ჯარის დამარცხება განაპირობა.
 - ბ) საკუთარი თავის გაწირვის ფასად მანუელომ სიკვდილისაგან იხსნა ზე მორეირა.
 - გ) საკუთარი თავის გაწირვის ფასად მანუელომ დარბევისაგან იხსნა მოელი კანუდოსი.
 - დ) საკუთარი თავის გაწირვით მანუელომ პოლკოვნიკ სეზარსაც გამოუტანა განაჩენი.
- (1) 14. **რატომ ისულელებს თავს მანუელო პოლკოვნიკთან საუბრის დროს?**
- ა) იმიტომ, რომ მეგობარს – ზე მორეირას ატყუებს.
 - ბ) იმიტომ, რომ ორ გამორჩეულ ავაზაკს ატყუებს.
 - გ) იმიტომ, რომ სასჯელის თავიდან აცილება სურს.

- დ) იმიტომ, რომ ცოლ-შვილის გადარჩენა სურს.
- (1) 15. რომელ სტრიქონში იყენებს ავტორი მხატვრულ საშუალებას?
- ა) „მიატოვა დაღლილი ცხენი და კანუდოსში ფეხით შევიდა“.
 - ბ) „ძალიან ბეჭდოდა ოთახში, ჭრაქი აანთო მენდეს მასიელმა“.
 - გ) „ჩამოიტოვა წვალება-ტანჯვით ძლივს წამომდგარი, ადგილზე დაბარბაცებული გუშაგი“.
 - დ) „მონაცრისფროდ მთვლემარე თეთრ კანუდოსში ფეხაკრეფით მიდიოდა ზე“.
- (1) 16. მანუელოს რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში?
- ა) სიკეთე და თავმდაბლობა.
 - ბ) მოხერხებულობა და ცნობისმოყვარეობა.
 - გ) ცნობისმოყვარეობა და თავგანწირვის უნარი.
 - დ) მოხერხებულობა და თავგანწირვის უნარი.
- (1) 17. რა იყო მანუელოს თავგანწირვის მთავარი მიზანი?
- ა) მეგობრის გადარჩენა.
 - ბ) ცოლ-შვილის გადარჩენა.
 - გ) სამშობლოს გადარჩენა.
 - დ) კონსელეიროს გადარჩენა.

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი:

წერითი დაგალების ინსტრუქცია:

ურადღებით გაეცანით დავალების პირობას.
ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უასეუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არააღეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერითი დაგალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უასეუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალკალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გათვალისწინეთ, რომ დაგალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწერებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტექსტში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, **შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯდაბნით.

წერითი დაგალების მაქსიმალური ქულაა 25.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ იხატება ზე მორეირას სახე ამ ტექსტში.
- იმსჯელეთ, როგორ იხატება მანუელოს სახე ამ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის

